20/01/2026

MES 7 26 0000041009

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.12.2025
სხდომის დაწყების დრო:11:03
სხდომის დასრულების დრო: 16:38
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი
სხდომის მდოვანი: ქეთევან ნანობაშვილი (IV საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში – აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;

4. ბონდო გასვიანი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. თეა ჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
8. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
9. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. ნარგული ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
12. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე.
16. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

უმაღლესი განათლების ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - თამთა მოხევიშვილი;
უმაღლესი განათლების ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - ლალი ოდიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გოჩა ჩავლეშვილი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. **სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქეთევან კუნწურაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
ეკატერინე კახნიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
მაია გრძელიძე - პროფესორი
ციცინო თურქაძე - საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი
კონსტანტინე სირბილაძე - დეკანი

1. **შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**

ნონა ზუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გოდერძი ბუჩაშვილი - პრორექტორი

1. **სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

გიორგი გაგოშიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ზვიად ტიგინაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
მერაბ მაჭავარიანი - პროგრამის ხელმძღვანელი
მარიამ ხომასურიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო ჩხარტიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო ლომიძე - აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები
I საკითხი
თამარ სანიკიძე
ქეთევან კინწურაშვილი
ნინო ქიმერიძე
II საკითხი
ალვია სალასევიჩიენე
ნატალია ცქიტიშვილი
ეთერ სადაღაშვილი
ქრისტინე ჩიხლაძე
ლია ხარებავა
III საკითხი
გულბახიტ სულთანოვა (Gulbakhyt Sultanova)
მაგდა ცინცაძე
გიორგი კუჭავა
ია ნაცვლიშვილი
თამარი ხუციშვილი
IV საკითხი
ზოლტ ზოფი (Zsolt Zsófi)
ლაშა ბოდაველი
მაკა მურვანიძე
აკაკი ჩალათაშვილი
თამთა ლეკიშვილი
ლიანა ზაგაშვილი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:03 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო, "სურსათის (აგრონედლეული) ტექნოლოგიისა და კონტროლის“ საბაკალავრო, "სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო, "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო, "მონაცემთა მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" სამაგისტრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" საბაკალავრო და სამაგისტრო და "მევენახეობისა და ენოლოგიის" საბაკალავრო და "მევენახეობისა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო, "სურსათის (აგრონედლეული) ტექნოლოგიისა და კონტროლის“ საბაკალავრო, "სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო, "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო, "მონაცემთა მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" სამაგისტრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" საბაკალავრო და სამაგისტრო და "მევენახეობისა და ენოლოგიის" საბაკალავრო და "მევენახეობისა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
პროგრამა 1
პროგრამის დასახელება: აგრარული ტექნოლოგიები
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2
პროგრამის დასახელება: აგრარული ტექნოლოგიები
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ნარგული ასანიძე; თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო საერთაშორისო ექსპერტის წერილი. უნივერსიტეტს აქვს კარგად ჩამოყალიბებული აგრარული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წელს, ხოლო 2025 წელს რეაკრედიტაციის მიზნით მასში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. დარგის მიზნები განსაზღვრავს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად განიხილება პროგრამის სწავლის შედეგები, რათა პროგრამის შინაარსმა და სტრუქტურამ უზრუნველყოს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლების და სწავლის პროცესი, ასევე სტუდენტების შეფასება შეესაბამება სწავლის სფეროსა და საფეხურს, პასუხობს სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამების ორგანიზება უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების შეთავაზებით, ხოლო სამაგისტრო სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ხელმძღვანელობა და აკადემიური მხარდაჭერა. საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პროგრამები იყენებენ ხარისხის უზრუნველყოფის შესაფერის მექანიზმებს და პერიოდულად ატარებენ პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას. პროგრამის მონაცემები გროვდება და გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. პროგრამები შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის ყველა სტანდარტთან, თუმცა შეფასების ჯგუფმა წარმოადგინა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ მიუხედვავად ექსპერტის დადებითი პოზიციისა, არის რეკომენდაციები, რომელსაც არ იზიარებს დაწესებულება. პირველი რეკომენდაცია ეხება სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. აღინიშნა, რომ ეს რეკომენდაცია უკვე ეფუძნება მოძველებულ პარადიგმებს. ბსუ-ში მოქმედებს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის გადაწყვეტილება სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ და 2022 წელს მიღებული არის პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და განახლების წესი. ეს დოკუმენტები კომპლექსურად ითვალისწინებს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის დროს დასაქმების დარგის კვლევას, კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკას, მათ მატერიალურ-კულტურულ შესაძლებლობებს და ადამიანურ რესურსებს. სტუდნეტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ბსუ-ში ამ დოკუმენტების საშუალებით მიმდინარეობს და ეს არის ის დოკუმენტაცია, რომლითაც წლების განმავლობაში დაწესებულება სტუდენტთა კონტინგენტს საზღვრავდა, მაგრამ გაცილებით მმნიშვნელოვანი არის ქვეყანაში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმა, რომელიც დოკუმენტურად ცვლის ყველაფერს. სახელმწიფომ სწორედ იმიტომ შეცვალა მოდელი, რომ უნივერსიტეტები აღარ იყვნენ დამოკიდებულნი სტუდენტების რაოდენობაზე. ახალი სისტემა ორიენტირებულია ხარისხზე და არა კონტინგენტზე. ამგვარად, რეკომენდაცია, რომელიც რაოდენობრივი კვოტირების დამატების მეთოდოლოგიას ეძებს და ითვალისწინებს ერთგვარად ეწინააღმდეგება უკვე არსებულ რეფორმას. მეორე რეკომენდაცია ეხება ლაბორატორიულ მეცადინეობებს და უსაფრთხოების წესებს. დაწესებულება ამ რეკომენდაციის რჩევად გადაკეთებას ითხოვს, რადგან ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია არსებული სამი ლაბორატორიის მცენარეთა დაცვის, ნიადაგმცოდნეობის და ინ-ვიტრო ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლება. პრაქტიკული სამუშაოების აღწერილობები მოცემულია შესაბამისი სილაბუსების სახელმძღვანელოებში და გარდა ამისა მომზადებულია 3

ახალი პრაქტიკული სახელმძღვანელო. რეკომენდაციაში საუბარი იყო უსაფრთხოების წესებზე და ეს უსაფრთხოების წესები განთავსებულია ლაბორატორიებში და დოკუმენტურად დადასტურებულია. მესამე რეკომენდაცია ეხება ლიტერატურის განახლებას, რომლის რჩევად გადაკეთებასაც ითხოვს დაწესებულება, რადგან რეკომენდაციიდან არ ჩანს კონკრეტულად რომელი სახელმძღვანელოები საჭიროებს განახლებას. მიუხედავად ამისა, სამუშაო ჯგუფმა, ფაქტობრივად, ამოიღო მოძველებული ლიტერატურა ენტომოლოგიის, მცენარეთა კარანტინის და ტყის მავნებლების მიმართულებით და მოამზადა ახალი სალექციო კურსები. ლიტერატურის განახლება არის უწყვეტი პროცესი და ის ინტეგრირებულია პროგრამის განვითარების ციკლში. მეოთხე რეკომენდაცია ეხება აპელაციის პროცედურას, რომელსაც კატეგორიულად არ ეთანხმება დაწესებულება. ბსუ-ში 2008 წლიდან მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს საგამოცდო პროცესისა და შემდგომი აპელაციის გასაჩივრების პროცედურას. გარდა ამისა, 2018 წელს მიღებულ იქნა გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, სადაც კიდევ უფრო დეტალურად იქნა დარეგულირებული სააპელაციო პროცედურა და საბოლოო შედეგების ფორმულირება. ორივე დოკუმენტი წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტებთან, შესაბამისად რეკომენდაცია ითხოვს იმას, რაც უკვე არსებობს უნივერსიტეტში. მეხუთე რეკომენდაციასაც არ ეთანხმება დაწესებულება, რადგან ბსუ-ში ფუნქციონირებს სისტემური უკუკავშირის მექანიზმი. ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები სტუდენტურ პორტალზე ავსებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ კითხვარებს, რომელიც შეიცავს სწავლის შედეგების მიღწევის, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის და ადეკვატურობის კონკრეტულ ინდიკატორებს, ამის მიხედვით ხდება შედეგების გაანალიზება და ის განიხილება ფაკულტეტის საბჭოებზე. ეს არის მოქმედი ინსტიტუციონალიზებული სისტემა, რომელიც ბსუ-ში მოქმედებს. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებების განახლებას, რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმება. აკადემიურ პერსონალთან ხელშეკრულება იდება აკადემიური კონკურსის გავლის და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიხედვით. ეს არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების დაცვას. უნივერსიტეტს არ აქვს უფლება თვითნებურად განაახლოს აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები კონკურსის გარეშე. მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულებები კი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახლდება. მეშვიდე რეკომენდაციის რჩევის სტატუსში გადატანას ითხოვს დაწესებულება, რადგან პროგრამების შემუშავების პროცესში ეს აუცილებელი მოთხოვნაა და ბუნებრივია მოქმედებს დაწესებულებაში. მერვე რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების თანხვედრას მეშვიდე დონესთან. დაწესებულება არ ეთანხმება ამ რეკომენდაციას, რადგან თუ არ არის მეშვიდე დონის აღმწერთან თანხვედრა, მაშინ დადებითი შეფასება ცოტა გაუგებარია. თუმცა სამუშაო ჯგუფმა მაინც დაიწყო შესწავლა და შედეგების რევიზია კვალიფიკაციის მეშვიდე დონის მოთხოვნებთან შესაბამისობის კიდევ უფრო უზრუნველსაყოფად. პროცესში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ეს არის პროგრამის უწყვეტი განვითარების ნაწილი და არა ხარვეზის აღმოფხვრა. მეცხრე რეკომენდაციაზე დაწესებულება ითხოვს, რომ რჩევის სახით ჩამოყალიბდეს, რადგან საერთაშორისო და ადგილობრივ პროგრამებთან შედარება უკვე წარმოადგენს პროგრამის განვითარების პროცესის პროგრამულ ნაწილს, რაც აკადემიური საბჭოს 2022 წლის დადგენილებით არის დამტკიცებული და ასახულია პროგრამის განვითარების შეფასების წესში. ბსუ მზად არის შეიმუშაოს ბენჩმარკინგის უფრო სტრუქტურირებული მეთოდოლოგია, თუმცა ამის განხორციელების ვალდებულება დაწესებულებას აქვს გაწერილი და შესაბამისად, ყველა პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ის. მეათე რეკომენდაცია ეხებოდა კოლეგიალურ შეფასებას და დაწესებულება ითხოვს ამ რეკომენდაციის რჩევის სტატუსში გადატანას, რადგან უნივერსიტეტს სავალდებულოდ აქვს განსაზღვრული პროგრამების შემუშავების, მათი აკრედიტაციაზე წარდგენის, აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების მიზნით 2 გარეკოლეგიალური შეფასება უნდა მოხდეს. ძირითადად რეკომენდაციები აპელირება ხდება იმ საკითხებზე,

რომელიც რეალურად ბსუ-ში შემუშავებულია, ფუნქციონირებს და არაერთხელ აღნიშნულა ამის შესახებ აკრედიტაციის საბჭოზე, ამიტომ კოლეგიალურ ურთიერთობაზე რეკომენდაციის რჩევაში გადატანას ითხოვს დაწესებულება. თითო რეკომენდაცია არის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე. ბაკალავრიატის საფეხურისთვის გაიცა რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტზე, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება დაწესებულება იმის გამო, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა 19 მემორანდუმი გააფორმა პრაქტიკის ობიექტებთან, რომელთა ხელშეკრულებებიც წარმოდგენილია და რაოდენობები მათში განსაზღვრულია. მაგისტრატურასთან მიმართებით კი გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის ჩამონათვალსა და ხელმძღვანელებს. რაზეც აღინიშნა, რომ ისედაც არის და წარმოდგენილია დოკუმენტებში, შესაბამისად რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება. სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით არის მეორე რეკომენდაციაც, რომელიც ითხოვს სტატისტიკური მონაცემების დაზუსტებას და დაწესებულება ამ რეკომენდაციას ეთანხმება. საბოლოოდ კი აღინიშნა, რომ ბსუ არის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს სათანადო ნორმატიული ბაზა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კვალიფიცირებული კადრები და რაც მთავარია, განვითარების მკაფიო ხედვა. დაწესებულება რეკომენდაციების ნაწილს საფუძვლიანად არ ეთანხმება, რადგან შესაბამისი მექანიზმები უკვე მოქმედებს, ნაწილი მოითხოვს რჩევის სტატუსში გადატანას, რადგან ეხება მიმდინარე ან დაგეგმილ პროცესებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ლევან შავაძემ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ვკითხულობთ, რომ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია მისაღები გამოცდის ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში B2 დონეზე. მას აინტერესებდა, თუ აპლიკანტი წარმოადგენს საერთაშორიოს სერთიფიკატს მოუწევდა თუ არა გამოცდის ჩაბარება მაინც?

ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ წელს ეს საკითხი დაარეგულირა დაწესებულებამ ინსტიტუციურად და შევიდა გამოცდების ვითარების უწყისში ეს ცვლილება, რომ შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში აპლიკანტი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდისაგნ.

მეორე შეკითხვით ლევან შავაძემ კვლავ დაწესებულებას მიმართა. სამაგისტრო ნაშრომის მიზნებში აღნიშნულია, რომ მოამზადოს აგრარული განათლების მქონე თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, თუმცა პროგრამაში წარმოდგენილი არ არის პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია.

გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ პრაქიკები სხვადასხვა კურსშია ჩაშლილი, თუმცა ცალკე სასწავლო კურსად ჩამოყალიბების საჭიროება არ დგას.

ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს დასკვნასთან დაკავშირებით. 5.2 სტანდარტში რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს შედარებითი ანალიზების მომზადების სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო პროგრამებს უფრო მჭიდროდ შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რაზეც დაწესებულება აცხადებს, რომ უკვე აქვს საერთაშორისო და ადგილობრივ პროგრამებთან შედარება გაკეთებული და წარმოდგენილი. მას აინტერესებდა რეკომენდაციის გაცემის მოტივი.

ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაში რეკომენცადიის გაცემა ბოლო დროს ცოტა მეტ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ის დოკუმენტები, რაც მზადდება ხარისხის სამსახურის მიმართულებით, ნორმას ექვემდებარება, თუმცა მისი განხორციელება სხვადასხვა ხედვას და მეთოდოლოგიურად დალაგებას მოითხოვს. ის მიდგომა, რომ რეკომენდაციები მასიურად გადავიდეს რჩევებში ცოტა უხერხულია. ის, რომ ახალი კანონის მიხედვით მეთოდოლოგია არ განისაზღვრება, სტუდენტთა რაოდენობით ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, რადგან როცა დოკუმენტები შემოვიდა მაშინ არ იყო კანონში ახალი

ინიციატივები, ამიტომ ექსპერტები ეყრდნობოდნენ იმ მოცემულობას, რაც იმ მომენტში მოქმედებდა. ამასთან, როდესაც ამ ტიპის დოკუმენტი მზადდება ხდება ადგილობრივ ბაზარზე უმაღლესებთან შედარება, რაც ჰქონდა დაწესებულებას, ან უცხოურ ბაზარზე შედარება, თუმცა ამ შემთხვევაში დაწესებულებას საშუალება ჰქონდა შედარების. ამიტომ ექსპერტებმა დაწესებულებას სთხოვეს შეედარებინათ, რადგან რეალურად უნდა ჩანდეს რატომ და როგორ ეთანხმება სტუდენტი საერთაშორისო ბაზარს.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ მეთოდოლოგიის მოთხოვნა არსად არ იკითხება სტანდარტებში, ამიტომ ეს რჩევის სახით უნდა იყოს ფორმულირებული და არა რეკომენდაციის.
ნინო ქიმერიძემ გარე შეფასების ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობს ორი ტიპის გარე შეფასება. ერთი არის მხარდამჭერი და მეორე არის უკვე შეფასებითი ნაწილი, როცა უკვე იძლევა გარკვეულ ნაწილში დასტურს, რატომ აკეთებს ან არ აკეთებს რეკომენდაციას. ძირითადად ქართულ დაწესებულებებს აქვთ მხარდამჭერი დოკუმენტი და პრობლემაც აღარ იქნება.
ციური დურულმა სამაგისტრო პროგრამის თემის შერჩევასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ექსპერტების პოზიცია ამასთან დაკავშირებით და რეკომენდაციის ჩამოყალიბების საფუძველი.
ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ თავმჯდომარეს ჰქონდა სურვილი, ეს საკითხი რეკომენდაციად ჩამოყალიბებულიყო, რადგან, რა თქმა უნდა, იქ პოტენციალი აკადემიური პერსონალიდან გამომდინარე ძალიან მაღალია სამაგისტრო თემების ხელმძღვანელობისთვის, მაგრამ სასურველად ჩათვალა, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ყოფილიყო სპეციალური თემატიკა მითითებული, საიდანაც სტუდენტს შეეძლებოდა გარკვეული თემატიკების გათვალისწინებით ხელმძღვანელზე აქცენტის გაკეთება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:36
დასრულების დრო: 12:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"აგრარული ტექნოლოგიების" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"აგრარული ტექნოლოგიების" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო, "სურსათის (აგრონედლეული) ტექნოლოგიისა და კონტროლის“ საბაკალავრო, "სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო, "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1:
პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2:
პროგრამის დასახელება: სურსათის (აგრონედლეული) ტექნოლოგია და კონტროლი

საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 3:
პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 4:
პროგრამის დასახელება: სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 50
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ლევან შავაძე; ვლადიმერ ადეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, ალვია სალასევიჩინემ აღნიშნა, რომ შეფასდა 4 საგანმანათლებლო პროგრამა. პროცესი მოიცავდა პროგრამებთან დაკავშირებული მტკიცებულებების და დოკუმენტაციის შესწავლას და ინტერვიუებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ხაზგასმული იყო ფაქტობრივი საკითხები. აღნიშნული არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ მხოლოდ 2 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, დანარჩენი რეკომენდაციები კი შენარჩუნდა პროგრამის განვითარების მიზნით. აღინიშნა ისიც, რომ პროგრამებს ახორციელებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომლებსაც აქვთ საკმაოდ ღირებული დისციპლინური გამოცდილება და ისინი ჩართულები არიან კვლევებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა

ხელმძღვანელობაში. შემდეგი ძლიერი მხარე არის პროგრამების სტრუქტურა და სასწავლო გარემო. სტრუქტურა, რომელიც შესაბამისია საერთაშორისო შრომის ბაზართან, ამასთან ადეკვატური არის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა. ასევე, ძლიერი მხარეა სტუდენტების მხარდაჭერა და მათი ჩართულობა. მათ აღნიშნეს, რომ საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ პერსონალთან, ისინი იღებენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას, კონსულტაციებს და მონაწილეობენ გამოყენებით კვლევებში. მეოთხე ძლიერ მხარეს წარმოადგენს უნივერსიტეტში დამკვიდრებული და პროგრამების ფარგლებში განვითარებული ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა. აღინიშნა უკუკავშირის მექანიზმების არსებობაც და უნივერსიტეტის ჩართულობა აღნიშნული ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში. დაწესებულებას აქვს გასაუმჯობესებელი მხარეებიც, რომლებიც ძირითადად ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და მათ დოკუმენტირებას. საჭიროა ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების ცხადი სისტემა, გამოყენებული იყოს უფრო ცხადი ზმნები და სწავლის შედეგები უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს. შემდეგი რეკომენდაცია ეხება შეფასების სისტემას, რომელსაც დაწესებულებამ ყურადღება უნდა მიაქციოს, დახვეწოს და განავითაროს, გაიცა რეკომენდაციები შეფასების ზღვრების შესახებ, მისი სამართლიანობისა და სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. უკანასკნელ საკითხთან მიმართებით გაცემული 2 რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევებში. შემდეგი საკითხი ეხებოდა ხელმძღვანელობას, ტრენინგებს, აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას და ამ თვალსაზრისით საჭიროა, რომ გადაიხედოს ხელმძღვანელობის სისტემა, კოლეგიალური შეფასებები ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, მათი მონიტორინგი და აღინიშნა, რომ არსებობს საერთაშორისო თანახელმძღვანელობის შესაძლებლობა, რომელიც ასევე საჭიროებს დახვეწას. ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით აღინიშნა, რომ არსებობს მექანიზმები და ხორციელდება, თუმცა ნაკლებად არის დოკუმენტირებული. ბოლო საკითხი უშუალოდ ექსპერტებს ეხებოდათ, დასკვნით პროექტში ფიქსირდებოდა ხარვეზები, რომლებიც არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ აღმოიფხვრა, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია უშუალოდ შეფასებაზე. მთლიანობაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აჩვენებს ძლიერ აკადემიურ ხარისხს, რომელსაც ჰყავს ძლიერი აკადემიური გუნდი, არის მოტივირებული, გააჩნია ძლიერი ხარისხის სტრუქტურა და რეკომენდაციები ძირითადად ეხება სისტემატიზაციას, დოკუმენტირებასა და მტკიცებულებების ნაკლებობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მანანა ქარჩავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება სავსებით ეთანხმება ყველა რეკომენდაციას, რადგან ისინი მიმართულია პროგრამის განვითარებისა და გაძლიერებისაკენ. მთავარი ხარვეზი იყო ის, რომ დამსაქმებელი, სტუდენტი თუ პერსონალი ერთ მიზანს არ ემსახურება. ფაქტობრივად, დაწესებულებამ მოიფიქრა თუ როგორ გაეძლიერებინა ეს მხარე. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ მიზნები და შედეგები მაქსიმალურად სტუდენტის ენაზე უნდა იყოს დაწერილი. პროგრამის შედგენისას, რა თქმა უნდა, ეს ასპექტი გათვალისწინებული იყო და დაწესებულების თვალსაზრისით, ეს ყოველივე სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა, ამიტომ ამ რეკომენდაციას აუცილებლად გაითვალისწინებს დაწესებულება. ყოველი თემა უნდა დამთავრდეს იმით თუ რას ემსახურება პროგრამა და რა შედეგზე გადის სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ. ამას პროგრამის განვითარების ფარგლებში ნამდვილად შეძლებს დაწესებულება. რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, ისინი პროგრამაში საკმაოდ დადებითად არის შეფასებული, რადგან შემოტანილია სიახლე, პროგრამაზე დაფუძნებული სწავლება. ეს ადრეც იყო, თუმცა ახლა უფრო გაძლიერებულად არის პროგრამაში ჩართული, თუმცა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. შენიშვნა იყო ექსპერტების მხრიდან იმის შესახებ, თუ რომ რატომ არ არის აღნიშნული გათვალისწინებული ბაკლავრიატის საფეხურზე, რაზეც დაწესებულებამ განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო, ეს პროგრამა დაენერგა იქ, სადაც ტექნოლოგიები განიხილება.

უნივერსიტეტის მხრიდან პრობლემა არის მეოთხე სტანდარტთან, მატერიალურ რესურსებთან. აღინიშნა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად დაწესებულება ძალიან დიდ ძალისხმევას ხარჯავს, თუმცა რა თქმა უნდა, რჩება გარკვეული ხარვეზები. იმისათვის, რომ მაღალი საფეხურის სტუდენტებს არ შექმნოდათ პრობლემა, დაწესებულებას აქვს ხელშეკრულებები გაფორმებული დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ ცენტრთან, სადაც ქრომატოგრაფიული კვლევა მიმდინარეობს. ექსპერტების შენიშვნა არის ექსპერიმენტალურ ვივარიუმთან, სადაც ტარდება სადოქტორო პროგრამაში ბიოლოგიური კვლევები. ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება ბერიტაშვილის სახელობის ბიოლოგიურ ცენტრთან, სადაც ახლაც მუშაობს დოქტორანტი. იქ ეს საკითხები მთლიანად მოგვარებულია. ასევე შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის ბიოლოგიური ცენტრი, რომელიც შექმნილია შოთა რუსთაველის სახელობის გრანტის საფუძველზე, რაშიც აკაკი წერეთლის უნივერსიტეტიც მონაწილეობდა. ის ტერიტორიულად განთავსებულია ბათუმის უნივერსიტეტში, რადგან გრანტის ავტორი იყო აკაკი კალანდია, რომელიც ამ მიმართულებით არის პროფესიონალი. დაწესებულებას საგანიც აქვს ჩართული პროგრამაში - „ქრომატოგრაფიული კვლევის მეთოდები“ და დაწესებულებას ისე აქვს აწყობილი ცხრილი, რომ ერთი კვირით შეძლოს სტუდენტმა ბათუმში ჩასვლა და ლაბორატორიის გამოყენება. სტეტოსკოპები დაწესებულებაშც არის და ის, რაც სპექტრომეტრით შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაშივე ხორციელდება. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ თუ რამე ხარვეზი არის უნივერსიტეტში ეს ყველაფერი კომპენსირებულია ამ ურთიერთობებით. შენიშნვა იყო დაფინანსების წყაროებზეც, თუმცა ეს პრობლემა არის საყოველთაო, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისაკენ მიმართულია სახელმწიფო, განათლების სამინისტრო და რა თქმა უნდა, დაწესებულება. პროგრამა დაახლოებით არსებობის 60 წელს ითვლის, დაწესებულებას აქვს დიდი მოტივაცია ამ პროგრამების გაგრძელების და ხარისხის გაუმჯობესების, შესაბამისად დაწესებულება მზადაა გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია.

კონსტანტინე სირბილაძემ დაფინანსებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ძლიერი მხარე ამ დეპარტამენტის არის სამეცნიერო ფონდებში ბევრი გრანტის მოპოვება. ასე, რომ ხშირად სადოქტორო ნაშრომების თემატიკა ემთხვევა კიდეც მათი კვლევის თემატიკას და დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ ესეც შეიძლება იქნას მიჩნეული. გარდა ამისა, უნივერსიტეტი საჭიროების შესაბამისად ყოველთვის უცხადებს თანადგომას ახალგაზრდა მკვლევრებს, არსებობს სხვადასხვა სტიმულირებისა და წახალისების მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ სადოქტორო პროგრამების განვითარებას.

ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ კლასტერთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები მეტნაკლებად მისაღებია დაწესებულებისთვის. ძირითადად პირველ და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით იყო რეკომენდაციები წარმოდგენილი. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ ექსპერტებმა 2 რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევებში. 1.3 და 1.4 ქვესტანდარტებთან მიმართებით გამოთქმულ რეკომენდაციებს დაწესებულება ეთანხმება და მაქსიმალურად ეცდება მოკლე დროში აღმოფხვრას პრობლემა. დაწესებულება მეოთხე სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასაც ეთანხმება. საბოლოო დასკვნაში რეკომენდაციები იყო ამოღებული, თუმცა ცხრილში ის ჩანაწერები, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება მაინც იყო, შესაბამისად ცოტა გაურკვეველია ექსპერტების პოზიცია უნივერსიტეტისთვის.

ქეთევან აფთარაშვილს სურდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ დასკვნაში არსებული უზუსტობა.

ალვია სალასევიჩიენემ აღნიშნა, რომ მხოლოდ 2.5 კომპონენტში არსებული 2 რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში. ამას გავლენა არ მოუხდენია შეფასებაზე. დანარჩენი ყველა რეკომენდაცია შენარჩუნებულია იგივე სახით, როგორც იყო პირველად დასკვნაში. ეს რეკომენდაციები ეფუძნება მტკიცებულებებს, ვიზიტის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებს და ჩატარებულ ინტერვიუებს. შესაბამისად, ისინი ჩამოყალიბებულნი არ არიან სუბიექტური ხედვის საფუძველზე.

ეკატერინე კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც წერია, რომ მოდულებში არ ჩანს ის, რაც უნდა იყოს ფორმულირებული გაურკვეველია რომელ მოდულზეა საუბარი, რადგან არანაირი

მოდულები არ აქვს პროგრამას. აქედან გამომდინარე, როდესაც ტექსტობრივი პასუხი მოვიდა იქ არ იყო აღნიშნული რეკომენდაციები და დაწესებულებამ ჩათვალა, რომ ექსპერტებმა გაითვალისწინეს არგუმენტირებული პასუხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას: როდესაც პროგრამის შემუშავებაზე მიმდიარეობდა მუშაობა, შეუძლებელია არ შეემუშავებინა დაწესებულებას პროგრამის მეთოდოლოგია, მითუმეტეს, როდესაც პროგრამა არის ავტორიზებული. აქედან გამომდინარე, მას აინტერესებდა პირველ კლასტერულ რეკომენდაციაზე დაწესებულების პოზიცია. ამასთან აინტერესებდა ექსპერტმა ნახა თუ არა ეს მეთოდოლოგია და თუ ნახა რის საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია?

ეკატერინე კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში შემუშავებულია სპეციალური პოლიტიკა, რომელშიც ზედმიწევნით თითოეული პროცედურის გავლის მითითებით ჩაშლილია ყველა ის აუცილებელი ქმედება, რომელიც უნდა გაიაროს პროგრამამ. შესაბამისად, ამ პროცესს თანდართულ დოკუმენტაციად ახლავს უამრავი სხდომა, ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, დადასტურებული ოქმები, საუნივერსიტეტო და აკადემიური სხდომების დადგენილებების ოქმები, რომლებიც სწორედ ადასტურებს იმ პროცედურას თუ როგორ სკრუპულოზურად ხდება პროგრამის შემუშავება უნივერსიტეტში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შესაბამისად, ყველანაირი დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია პროგრამის ფორმულირებასთან თუ სისტემატიზაციასთან ზედმიწევნით სრულდება დაწესებულებაში და ამას ექცევა ძალიან დიდი ყურადღება.მეტიც, აღნიშნული შეხვედრები თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით ხდება.

ციური დურულს აინტერესებდა ნახა თუ არა ეს დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფმა? ამასთან, როდესაც ლაპარაკია სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებაზე, დასკვნაში სტუდენტთა სერვისებზე საკმაოდ მაღალი შეფასება აქვს დაწესებულებას. პროგრამის მიზნებთან კი არის გაცემული რეკომენდაცია, რომ პროგრამის მიზნების შესახებ მოხდეს ცნობიერების ამაღლება და პროფილების შექმნა. აქედან გამომდინარე, ციური დურულს აინტერესებდა, როცა დასკვნაში სტუდენტთა სერვისებზე საკმაოდ კარგი შეფასებაა, რატომ გაიცა რეკომენდაცია? ასევე, 2 პროგრამის ბიუჯეტი არის შესაბამისობაში, ხოლო 2-ის - ნაწილობრივში. რადგანაც დაწესებულება არის სახელმწიფო, ბიუჯეტიც აქედან გამომდინარეობს, შესაბამისად ასე ცალსახად მუხლებში თანხების გამოყოფა საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის. შესაბამისად, მას აინტერესებდა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ექსპერტთა პოზიცია.

ალვია სალასევიჩენემ აღნიშნა, რომ დაწესებულება შეიძლება გარკვეულ რეკომენდაციებს არ ეთანხმებოდეს, თუმცა ყველა რეკომენდაცია შემუშავებულია იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც ხელმისაწვდომი იყო უშუალოდ ვიზიტის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მთავარი მოვალეობაა, შეაფასოს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის პოზიცია შეიძლება განსხვავდებოდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ექსპერტები აღიარებენ, რომ არსებობს მექანიზმები, თუმცა ისინი არ არის სისტემატიზირებული და სათანადოდ დოკუმენტირებული. სტანდარტი მოითხოვს არა მხოლოდ არსებობას, არამედ სიცხადეს და თანმიმდევრულობას. ამასთან, წარმატებით მოქმედი პროცედურები და მექანიზმები დოკუმეტებში უნდა იყოს ასახული, რაც არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს. ექსპერტებმა დაინახეს უნივერსიტეტის მონდომება და განზრახვა, თუმცა აღნიშნული შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებს. ხარისხის გაუმჯობესება არ არის კრიტიკა, ეს წარმოადგენს უწყვეტი განვითარების საფუძველს.

ქეთევან ნანობაშვილმა 1.2 კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებს მიმართა კითხვით: მას აინტერესებდა ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი?

ალვია სალასევიჩენემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები უნდა იყოს მკაფიოდ აღწერილი და გაზომვადი, რათა სტუდენტებისთვის იყოს მარტივად აღსაქმელი, რათა სტუდენტებს

ესმოდეთ, რას მიიღებენ კურსის გავლის შემდეგ. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში სწავლის შედეგები არ იყო პროგრამის შედეგებთან თანხვედრაში, რაც საჭიროებს გადახედვას. ექსპერტის აზრით, მკაფიო და გაზომვადი ზმნებით ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები სტუდენტს მიაწოდებს ინფორმაციას თუ რა შედეგზე გავა კურსის გავლის შემდეგ. ამ საკითხის ყველაზე მარტივად მოგვარების გზა არის, რომ უნივერსიტეტმა მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები და მათ მიაწოდოს ინფორმაცია სწავლის შედეგების შინაარსის შესახებ. აღინიშნა ისიც, რომ რეკომენდაცია არ ეხება განცალკევებულად სწავლის შედეგებს. საკითხი მდგომარეობს სისტემატურ მიდგომაში.
ეკატერინე კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ იცის რისკენ არის მიმართული რეკომენდაციები და კრიტიკად არ იღებს, თუმცა მეორე პროგრამის 1.1 და 1.5-თან მიმართებით დაწესებულებას ექნება თხოვნა, რომ გადაკვალიფიცირდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:14
დასრულების დრო: 13:42

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო** პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის (აგრონედლეული) ტექნოლოგიისა და კონტროლის“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის (აგრონედლეული) ტექნოლოგიისა და კონტროლის“ საბაკალავრო** პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სამაგისტრო** პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$ “ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **"სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგის“ სადოქტორო** პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "მონაცემთა მეცნიერების" სამაგისტრო, "მონაცემთა მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" სამაგისტრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული, 461033, 27.04.2023.

პროგრამის დასახელება: მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;

სტატუსი: ახალი.

პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული, 461043, 27.04.2023.

პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი.

პროგრამის დასახელება: მონაცემთა მეცნიერება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული, 461046, 27.04.202).

პროგრამის დასახელება: მონაცემთა მეცნიერება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი.

პროგრამის დასახელება: ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი.

პროგრამის დასახელება: ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ციური დურულმა
აცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
გულბახიტ სულთანოვამ აღნიშნა, რომ კლასტერს გააჩნია ძლიერი აკადემიური საფუძველი, შესაბამისობაშია ეროვნულ მოთხოვნებთან, პროგრამები კარგად არის სტრუქტურირებული. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს პროგრამებში წარმოდგენილ სიძლიერეს.თუმცა ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს პროგრამების მიზნობრივი და სტრატეგიული გაუმჯობესება იმისათვის, რომ სრულად შეესაბამებოდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და საერთაშორისო მოლოდინებს. საჭიროა გაუმჯობესდეს კოგნიტიური დონის გაუმჯობესება, კურსებში სწავლის შედეგების დახვეწა, მიღების წინაპირობების გადახედვა და ა.შ. აღნიშნული რეკომენდაციები წარმოადგენს პროგრამების განვითარების გზამკვლევს, რაც გააუმჯობესებს აკადემიურ სიმკაცრეს, სტუდენტების კომპეტენციას უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას, გააუმჯობესებს მათ საერთო ხარისხს და კონკურენტუნარიანობას ინფორმაციული ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე.
მაგდა ცინცაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში იყო გარკვეულ საკითხებთან მიმართებით განმარტების მოთხოვნა. ექსპერტებმა მთავარი რაც დაინახეს იყო ის, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები ერთმანეთისგან მკაფიოდ არ განსხვავდება. თუ წინადადებას ამოვიღებთ ძნელი გასარჩევი გახდება მიზანი იყო თუ შედეგი, რადგან ისინი იყენებენ ერთი და იგივე ლექსიკონს მიზნებისა და შედეგების ფორმულირებისას, ამიტომ არ ჩანს დროითი პერსპექტივა. მიზანსა და შედეგს შორის კი სწორედ ეს დროითი პერსპექტივაა განსხვავება. მიზნები გულისხმობს თუ რას უნდა მიაღწიოს კურსდამთავრებულმა დროის ინტერვალში, შესაბამისად სირთულე და პასუხისმგებლობის დონე არ არის ცხადად წარმოდგენილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ ძლიერ მიზანს უნდა ახასიათებდეს პროფესიული როლის პასუხისმგებლობის და სოციალურ-ორგანიზაციული კონტექსტის აშკარა განსხვავება. მაშინ, როცა მიზნებში ეს საერთოდ არ ჩანს. ეს იმიტომ არის პრობლემა, რომ აკრედიტაცია მოითხოვს მკაფიო იერარქიას. უნდა იყოს მიზანი და შემდგომ შედეგი. თუ ისინი ერთმანეთისგან ცხადად არ იქნება გამოყოფილი ვერ იმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. მიზნები უნდა იზომებოდეს დამსაქმებლებით, კარიერული პროგრესით, ხოლო როდესაც საუბარია აუთქამებზე ის იზომება კურსებით, რუბრიკებით, სტუდენტების კონკრეტული ნამუშევრებით. შესაბამისად, ეს არის მტავარი განმასხვავებელი ნიშანი, რომელსაც ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მზადაა ყოველგვარი განვითარებისთვის, ამის ცხადი მაგალითია ის, რომ ქართულენოვანი აიტი პროგრამები დაემატა 2 წლის წინ და მოხდა მათი განვითარება, ახლა კი დაწესებულება ფიქრობს, რომ ინგლისურენოვანი მიმართულებაც გააზლიეროს. თუმცა უნივერსიტეტს აქვს თავისი ხედვა და არგუმენტირებული პოზიცია.

ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ კლასტერზე წარმოდგენილი იყო 8 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 3 მოქმდეი და 5 ახალი პროგრამა. მათ 2023 წელს გაიარეს აკრედიტაცია, რომლებზეც დაწესებულებას ჰქონდა რამდენიმე რეკომენდაცია. უნივერსიტეტმა შეასრულა ყველა რეკომენდაცია და 2024 წელს საბჭოს წინაშეც წარდგა, სადაც აღნიშნული რეკომენდაციები ჩაითვალა შესრულებულად. პირველ კლასტერულ რეკომენდაციაში რეკომენდებულია, ხელახლა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს კურსდამთავრებულთა გრძელვადიან მიზნებს (დამთავრებიდან 3-5 წლის შემდეგ) და არა მხოლოდ მყისიერი დასაქმების პერსპექტივას. ამასთან, რეკომენდებულია, ეთიკა, სოციალური პასუხისმგებლობა და უწყვეტი სწავლის პრინციპები მკაფიოდ ინტეგრირდეს ყველა პროგრამის მიზნებში და არა მარტო სწავლის შედეგებში. აღნიშნულ რეკომენდაციებს არ იზიარებს დაწესებულება, რადგან კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ითვალისწინებენ სფეროს, საფეხურს, პროგრამის თავისებურებებს და ასახავს რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები თვალისწინებს როგორც თეორიულ ფუნდამენტურ საკითხეში, ისე პრაქტიკულ კომპონენტსაც, რაც კურსდამთავრებულს მისცეს დასაქმების და განვითარების შესაძლებლობას გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული რეკომენდაცია ეწინააღმდეგება ექსპერტების მიერ დასკვნაში არსებულ ჩანაწერს, სადაც აღნიშნულია, რომ „ინფორმაციული ტექნოლოგიების კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ პრიორიტეტებს და შრომის ბაზრის საჭიროებებს. საბაკალავრო პროგრამები (პირველი ციკლი) ხაზს უსვამს საბაზისო დარგობრივი ცოდნის დაუფლებას, გამოყენებით IT უნარების განვითარებას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ხოლო მაგისტრატურის პროგრამები (მეორე ციკლი) ორიენტირებულია მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის სიღრმისეულად შესწავლაზე, დამოუკიდებელ კვლევაზე და სტუდენტების მომზადებაზე ლიდერობისთვის ან დოქტორანტურისთვის. ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების მიზნები თანხვედრაშია, არსებითი განსხვავებების გარეშე. სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და ადეკვატურად მოიცავს ცოდნის, უნარების და დამოუკიდებლობის კომპონენტებს. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული შეძლებს ძირითადი ICT პრინციპების გამოყენებას პრაქტიკულ კონტექსტებში, ხოლო მაგისტრატურის კურსდამთავრებულს აქვს დამოუკიდებელი კვლევის უნარი და შეუძლია რთული ანალიტიკური პრობლემების გადაწყვეტა“. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს მტკიცებულება იმისა, თუ როგორ აისახება დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვა მხარეების შეხედულებები პროგრამის მიზნების ფორმულირებასა და პერიოდულ განხილვებში. არც ამ რეკომენდაციას ეთანხმება დაწესებულება, რადგან უნივერსიტეტში პროგრამების განვითარება ხორციელდება დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით. გარდა ამისა, არსებობს პროგრამის მრჩეველთა სარჩულები არსებობს, სადაც მინიმუმ 3 არის დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული და განმახორციელებელი პერსონალი. ეს მრჩეველთა საბჭოები იკრიბება სემესტრში ერთხელ, პროგრამები გადაიხედება და იქიდან გამომდინარე გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები პროგრამისთვის. დაწესებულებაში ასევე ტარდება გამოკითხვები სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებისთვის, ეს წარმოდგენილი იყო

დოკუმენტაციებში. კურსდამთავრებულთა გამოკითხვები ვერ იქნებოდა, რადგან მაგისტრატურასა და ბაკალავრიატზე დაწესებულებას კურსდამთავრებული არ ჰყავს. ამიტომ არ ეთანხმება დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას. ასევე, ხშირად მეორდება რეკომენდაცია, სადაც პრორგრამის მიზნებში მკაფიოდ ინტეგრირდეს ისეთი თემები, როგორიცაა ეთიკა, სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადობა და პასუხისმგებელიანი ხელოვნური ინტელექტი; პარალელურად გაძლიერდეს აქცენტი ინოვაციაზე და კვლევითი ხარისხის გაუმჯობესებაზე. რასაც რა თქმა უნდა, არ ეთანხმება დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ პროგრამების მიზნები ნამდვილად არის მომავალზე ორიენტირებული, შედეგები კი მიმდინარე ნაწილზეა ორიენტირებული. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად მიზნებში ხაზგასმული უნდა იყოს ეროვნული პრიორიტეტები და თუ როგორ შეაქვს წვლილი დაწესებულებას აღნიშნული პროგრამებით ეკონომიკაში, ინოვაციურ ეკოსისტემაში და ა.შ. დაწესებულება არ თვლის, რომ მიზნებში საჭიროა ეროვნული პრიორიტეტების დაკონკრეტება, რადგან თითოეული პროგრამის მიზნები ზუსტადაც რომ ეროვნულ პრიორიტეტებს ემსახურება, ამიტომ ამის ჩაწერის საჭიროება არ დგას და არც არსად არის მოთხოვნილი მსგავსი. სულ აკრედიტაციაზე შემოტანილია 8 პროგრამა, აქედან 4 ქართულენოვანია და 4 -ინგლისური. მათგან 3 პროგრამა ახალი აკრედიტირებულია, ერთი წლის წინ არის შესაბამისი ანგარიშები გაგზავნილი. არსებული რეკომენდაციები, დაწესებულების აზრით, უფრო არის ექსპერტისეული სურვილები და არა შინაარსობრივი თვალსაზრისით გაცემული რეკომენდაციები. სამაგისტრო პროგრამებში ეთიკის ნაწილი მიზნებში საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიზნების ფორმულირებაში მთავარია, რომ დარგობრივ სტანდარტთან იყოს შესაბამისობაში მიზნებიც და შედეგებიც, რაც ექსპერტებისვე მითითებით შესაბამისობაშია სტანდარტთან, თუმცა საბაკალავრო საფეხურზე გაწერილი იყო ეთიკის ნაწილიც, მაგრამ არ იყო გამოკვეთილი, რაც აუცილებლად დარედაქტირდება. თუმცა მიზნები და შედეგები ყველა პროგრამაზე ინდივიდუალურია და შეესაბამება სტანდარტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შედეგების ნაწილშიც ყველგან გამოყოფილია ეთიკის საკითხი და გარკვეულწილად უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულს. თუმცა ეთიკის, სოციალური პასუხისმგებლობის, პასუხისმგებელი AI-ის თემები პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში უკვე ინტეგრირებულია. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის სამაგისტრო პროგრამაზე მეხუთე შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „აფასებს ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენას ინდივიდზე და საზოგადოებაზე, იღებს ეთიკურად გააზრებულ გადაწყვეტილებებს ხელოვნური ინტელექტის აგების პროცესში“. ეს პირდაპირ აღნიშნავს იმას, რომ შეფასებაც შეუძლია ამ ნაწილში და ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაც. თუმცა მიუხედავად ამისა გარკვეულ პროგრამებსი ამ საკითხის გაძლიერება შესაძლებელია და აუცილებლად გააძლიერებს დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მონაცემთა მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამაზე არის რეკომენდაცია, სადაც რეკომენდებულია შედეგების ფორმულირების ამაღლება ისე, რომ „აღწერის“ ნაცვლად იყოს „ქმნის/აფასებს“ ახალ, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, ასევე რეკომენდებულია სწავლის შედეგებში ისეთი ტრანსვერსიული უნარების გაძლიერება, როგორიცაა მეწარმეობა, მდგრადობა და ციფრული ლიდერობა. ამას არ ეთანხმება დაწესებულება, რადგან შედეგებში ცალსახად არის ნაჩვენები, რომ ქმნის და ავითარებს ახალ პროდუქტებს, წარადგენს კვლევის შედეგებს ლაკონურად, გასაგებად და ენობრივი ნორმების დაცვით აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფში, განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა საჭიროებებს, დამოუკიდებლად წყვეტს მონაცემების შეგროვებასთან, ინტეგრირებასა და დამუშვაებასთან, მონაცემთან დაკავსირებულ საკითხებს, იღებს პასუხისმგელობას ამ გადაწყვეტაზე.

ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ 1.2 სტანდარტში არის რეკომენდაცია, სადაც რეკომენდებულია, განათლების საფეხურებს შორის სწავლის შედეგების უფრო ნათლად დიფერენცირება:

- საბაკალავრო პროგრამებმა ხაზი უნდა გაუსვან ფუნდამენტურ და გამოყენებით კომპეტენციას;
- სამაგისტრო პროგრამებმა ხაზი უნდა გაუსვან დამოუკიდებელ კვლევას, ორიგინალურობას, ლიდერობას და ინტერდისციპლინარული პრობლემების გადაჭრის უნარს. ესეც შეუსაბამოა თავად ექსპერტების ნარკვევთან, რადგან აღნიშნული აქვთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და საერთაშორისო სტანდარტებს, საბაკალავრო პროგრამეის სწავლის შედეგები ხაზს უსვამს საბაზო დისციპლინების ცოდნის დაუფლებას და გამოყენებითი უნარების განვითარებას. ხოლო სამაგისტრო პროგრამები მიზნად ისახავენ მოწინავე კვლევითი უნარების განვითარებას და პრობლემების გადაჭრის კომპეტენციებს. აქედან გამომდინარე, შეუსაბამოა რეკომენდაცია ექსპერტთა მიერ გაკეთებული ჩანაწერის.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.3 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამები პრაქტიკაზეა ორიენტირებული და პროექტების შეფასება არის პრიორიტეტული დაწესებულებაში. ძალიან ბევრ სასწავლო კურსში არის ჩართული პრაქტიკული მეცადინეობები და პროექტების შეფასება და მეტიც სეუ-ს IT-ის პროგრამაში პროექტებს აქვთ საკამოდ მაღალი ქულა. პროექტებზე დაფუძნებული სწავლება უკვე არსებობს პროგრამაში და დაწესებულებისთვის ბუნდოვანია რა უნდა გააკეთოს ამ რეკომენდაციის საფუზველზე. რა თქმა უნდა, ამის გაძლიერება იგეგმება, თუმცა ამ მომენტისთვის არ არსებობს ისეთი საფუძველი, რომ ამ რეკომენდაციის საჭიროება იყოს. ამასთან, არ არის დაკონკრეტებული კონკრეტულად რომელ კურსთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია. შესაბამისად, ბუნდოვანია დაწესებულებისთვის თუ რატომ გაიცა ან როგორ უნდა შესრულდეს ის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი ლაბორატორიულ საკითხებთან ძალიან ხშირად არის აღნიშნული და ასევე, კოდირების დავალებები. ეს ცოტა ირონიულია, რადგან როგორ შეიძლება კოდირების დავალება არ იყოს ინტეგრირებული აისიტი მიმართულების პროგრამებთან. მეტიც, ის პირველივე სემესტრიდან იწყება, ასევე პირველ სემესტრშივეა „კომპიუტერულ უნარებში“ არის პროექტი კომპიუტერული ორგანიზაცია. პირველივე სემესტრიდან იწყება პროექტული სწავლებაც, ლაბორატორიული სამუშაოებიც და კოდირების დავალებებიც, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციები მიუღებელია დაწესებულებისთვის.

ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, მარეგულირებელი და სექტორული განახლებების უწყვეტი მონიტორინგი და დოკუმენტაციის განახლება. აღინიშნა, რომ კურსდამთავრებული დაწესებულებას არცერთ პროგრამაზე არ ჰყავს, რაც შეეხება დამსაქმებლების ჩართულობას, მათი უკუკავშირი დაწესებულებას აქვს. სწორედ მათი აზრი იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშების წარმოდგენის დროს და დამსაქმებლები არიან პროგრამის მრჩეველთა საბჭოში წარმოდგენილნი. ამის შესახებ დოკუმენტაციაც არსებოსბ, თუმცა ექსპერტთა მხრიდან დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ ყოფილა მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება შედეგების შეფასების რუქებს. დარგობრივი დოკუმენტის შექმნაში პერსონალი აქტიურად იყო ჩართული და კარგად იცნობს მას. ამასთან მაგისტრატურის პროგრამების ყველა შედეგი გადის მესამე, ყველაზე მაღალ, დონეზე. ამასთან დარგობრივი დოკუმენტი არ მოითხოვს რომელიმე კურსი გადიოდეს მესამე შედეგზე. მაგისტრატურის ყველა შედეგი გადის მესამე დონეზე, თუმცა ბაკალავრის რამდენიმე შედეგი ვერ გადის მესამეზე, მაგრამ არცერთი მოთხოვნა არ ავალდებულებს ამაში დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, ეთიკის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის შინაარსში ინტეგრირება: დაემატოს სპეციალური კურსები (მაგ., „პასუხისმგებლობით გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი“, „ICT ეთიკა“, „მდგრადი კომპიუტინგი“), მაგრამ ისინი არ უნდა ჩაითვალოს მეორეხარისხოვან ან დამატებით კომპონენტებად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის პროგრამებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გაბნეულია სხვადასხვა კურსებში დაწესებულება მზადაა დამატებითი მოდულის სახით დაამატოს აღნიშნული კურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მონაცემთა მეცნიერების“ მაგისტრატურის პროგრამაზე ეკომენდებულია არჩევითი საგნების გაფართოება ციფრული მეცნიერების მზარდ სფეროში (ეთიკური ხელოვნური ინტელექტი, მდგრადი განვითარების ანალიტიკა). დაწესებულების აზრით ეს არის რჩევა, რომ არჩევით საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი, საგნები არის ზედმეტად ზოგადი და ჩნდება საფრთხე, რომ სტუდენტი მიიღებს ზედაპირულ ინფორმაციას, მაგრამ ვერ შეიძენს იმ სპეციფიკურ კომპეტენციებს, რომლებიც დასაქმების ბაზარზეა საჭირო.
ამასთან საბაკალავრო პროგრამის საფეხურის ინდივიდუალურ პროგრამებთან 1.1 რეკომენდაციებში წერია, რომ რეკომენდებულია, დაზუსტდეს ინგლისური ენის დონის ზღვრული მაჩვენებელი და სასწავლო პერსონალის ენობრივი ცოდნის მინიმალური მოთხოვნა გაიზარდოს B2-დან C1-მდე. დაწესებულება არ ეთანხმება რეკომენდაციას, რადგან ეს არ არის შესაბამისი სტანდარტის რეკომენდაცია და არც ამის საჭიროება არ ჩანს.
ასევე., რეკომენდებულია, რომ ჩანაცლდეს 2009 წლის ლიტერატურა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2009 წლის არცერთი სახელმძღვანელო არ არის არცერთ კურსში. კურსში მოცემულია 2021 წლის სახელმძღვანელო, ხოლო რეკომენდაციაში მოთხოვნილია, რომ ჩანაცვლდეს 2016 წლის სახელმძღვანელოთი. ამიტომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ რჩევითი ხასიათის.
დაწესებულების წარმომადგენელმა ხელოვნური ინტელექტის სამაგისტრო პროგრამასთან გაცემულ 1.4 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ თანატოლთა შეფასება, განმეორებითი უკუკავშირი დაწესებულებამ შეიძლება რჩევიის დონეზე განიხილოს, თუმცა არცერთ სტანდარტში არ არის მითითებული, რომ აუცილებელია თანატოლთა შეფასების ჩართვა, შესაბამისად დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულს. რაც შეეხება განმეორებით უკუკავშირს, ნებისმიერი შეფასების ფორმა ითვალისწინებს იმას, რომ დაწესებულებას ჰქონდეს განმეორებითი უკუკავშირი, სხვანაირად შრფასება ვერ იქნება განვითარებითი.
დაწესებულების წარმომადგენელმა თანატოლთა შეფასებასთან დაკავშირებით აღნოიშნა, რომ ფეარტიჩინგს დაწესებულება იყენებს, თუმცა ამის ვალდებულება არცერთი სტანდარტის მიხედვით არ აქვს დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა 1.5 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პარტნიორ კომპანიასთან ერთად უნივერსიტეტი ახორციელებს პრაქტიკულ კომპინენტის. დავალებებს იღებენ სტუდენტები და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები უწევენ მენტორშიფს და ამის მიხედვით ინტეგრირდება. ამიტომ აზრს მოკლებულია ექსპერტების რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას არ ჰყავს ინდუსტრია. ამასთან დუბლირების რეკომენდაცია არ იყო დაკონკრეტებული თუ რომელ კურსს ეხებოდა, მაგრამ კურსი როგრც ასეთი „მონაცემთა ანალიზი“ საბაკალავრო პროგრამაზე არ არის, აქ არის „ანალიტიკა და ვიზუალიზაცია“, სადაც სტუდენტები აკეთებენ კონკრეტულ ამოცანებს. ასევე, არის „გამოყენებითი სტატისტიკა“, სადაც პიქსელზე ამუშავებენ ამოცანებს და არის „ალბათობა და სტატისტიკა“, სადაც მსგავსი მათემატიკური მოდელია. ამიტომ ამ კურსებში გადაფარვა არ არის.
ნონა ზუმბაძემ 2.2 კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ სტუდენტის შეფასებიდან არის 60 მიმდინარე ქულა, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს, ჯგუფურ სამუშაოებს, ქეისებს, პროექტებს, შესაბამისად, დაწესებულება ვერ ეთანხმება აღნოშნულ რეკომენდაციას. შემდეგი რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების კომპონენტებსა და თითოეული კურსის სწავლის შედეგებს შორის უფრო პირდაპირი და ნათელი თანხვედრა. აქაც აღინიშნა, რომ ყველა კურსის შეფასების სისტემა მორგებულია სწავლის შედეგებს არის მორგებული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რასაც ექსპერტების ჩანაწერიც მოწმობს, რომელიც მოცემულია 137-ე გვერდის ბოლო აბზაცში. 4.1 კომპონენტში რეკომენდებულია, რომ მაგისტრატურის პროგრამებს

უხელმძღვანელოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე კვალიფიციურმა, ძლიერმა პერსონალმა. მაგისტრატურის 4 პროგრამა არის დაწესებულებაში „ხელოვნური ინტელექტი“ და „მონაცემთა მეცნიერების“ ქართულენოვანი და ინგლისურენივანი. ხელმძღვანელებს აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი, გაედა ამისა, არიან თანახელმძღვანელები და პროგრამის განვითარების მენეჯერები, რომელთა უმრავესობას, გარდა ერთისა, ყველას აქვს დოქტორის ხარისხი. ამიტომ დაწესებულება ვერ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციასაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რომელსაც დოქტორის ხარისხი არ აქვს განსაკუთრებულად გამპორჩეული პრაქტიკული ბეგრაუნდი აქვს. დაწესებულების მოსაზრებით, ასეთი პერსონალი კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამას.
შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის მთავარი ხელმძღვანელები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალი იყოს. მოწვეულ და გარე ექსპერტებს შეუძლიათ იყვნენ თანამასწავლებლები ან თანახელმძღვანელები , თუმცა მთავარი აკადემიური ხელმძღვანელის როლში არ ჩაანაცვლონ აფილირებული პერსონალი. ამას დაწესებულება არ იზიარებს, რადგან უნივერსიტეტის რეგულაციებით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არა მარტო აფილირებული პერსონალი, არამედ მოწვეული ლეტორებიც. ასევე, რეკომენდებულია ბაკალავრიატის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ძირითად კურსებში მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონე ლექტორებზე დამოკიდებულების შემცირება, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური ზედამხედველობის უზრუნველყოფით. აღინიშნა, რომ მაგისრატურის პროგრამაში მაგისტრის ხარისხის ლექტპრები არ არიან. მაგისტრის ხარისხის რამდენიმე ლექტორი არის ბაკალავრის საფეხურზე, რომლებსაც აქვთ დარგში პრაქტიკული გამოცდილება. ამასთან, რეკომენდებულია კვლევის საათების აღრიცხვა სამუშაო დატვირთვის განაწილებაში: სამუშაო დატვირთვის ცხრილებში დანერგეთ მკაფიო მექანიზმი, რათა ცალ-ცალკეაღირიცხოს აფილირებული დოქტორების კვლევისსაათები (მათ შორის, დისერტაციებისა და კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობისთვის საჭირო დრო), რომ კვლევითი აქტივობა და ხელმძღვანელობის ძალისხმევა სათანადოდ გამოჩნდეს და დადასტურდეს 4.1 და 4.3 სტანდარტებთან შესაბამისობა. აღინიშნა, რომ პერსონალის დატვირთვის საათები ნამდვილად არ არის მოცემული, თუმცა არც აქვს დაწესებულებას ვალდებულება წარადგინოს ის. თუმცა თუ ამის საჭიროება არსებობს აუცილებლად გაწერს დაწესებულება მას. რეკომენდებულია ხელმძღვანელისთვის დაბალანსებული და მდგრადი სამუშაო დატვირთვის უზრუნველყოფა: მაგისტრატურის მოქმედი ხელმძღვანელებისთვის სასწავლო დატვირთვის შიდა ლიმიტების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში სამუშაო დატვირთვის ხელახლა დაბალანსება, რათა არცერთ ხელმძღვანელს არ ჰქონდეს ზედმეტად მაღალი სასწავლო დატვირთვა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხი არ დაზარალდეს. ამასთან მიმართებით აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ისედაც აქვს განსაზღვრული, რომ არ უნდა ჰყავდეს 5-ზე მეტი მაგისტრი, თუმცა ამასთან დაკავშირებყლი პრობლემა ჯერ დაწესებულებაში არ ყოფილა. რეკომენდებულია პერსონალის ექსპერტიზისა და დაკისრებული მოვალეობებისშესაბამისობაში მოყვანა: სისტემატურად გადახედეთ და გამოასწორეთ ნებისმიერი შეუსაბამობა პერსონალის რეზიუმეებსა და სამუშაო დატვირთვის არსებულ ჩანაწერებს შორის, რომ სასწავლო დავალებები და ხელმძღვანელობის თემები შეესაბამებოდეს თითოეული პერსონალის დოკუმენტირებულ აკადემიურ და კვლევით ექსპერტიზას. დაწესებულების აზრით აქ იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან ერთ-ერთ პერსონალს, რომელსაც დოქტორის ხარისხი არ აქვს. CV-ში მითითებული ჰქონდა მაგისტრის ხარისხი და გადაიხედება აღნიშნული საკითხი. რეკომენდებულია, რომ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამებისთვის ოფიციალურად დადასტურდეს ხელმძღვანელის ინგლისური ენის კომპეტენცია (CV, პუბლიკაციები, ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილება), რათა უზრუნველყოფილი იყოს ინტერნაციონალიზაციის მოლოდინებთან შესაბამისობა. წარმოდგენილი CV-ებით დაწტურდება აღნიშნული და დაწესებულებისთვის გაუგებარია რის

საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია. რეკომენდებულია საერთაშორისო მობილობასა და მოწინავე ტრენინგებში მონაწილეობის გაფართოება, რომ მკვლევართა მხოლოდ მცირე ჯგუფი არ სარგებლობდეს ასეთი შესაძლებლობებით. აღინიშNა, რომ დაწესებულებაში ტრენინგები არა მხოლოდ აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს, არამედ მოწვეულ პერსონალსაც. მათი შეფასების საფუძველზე კი ინდივიდუალური განვითარების გეგმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები იგეგმება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მესამე წელია რაც ეს პროგრამები ხორციელდება და ყოველ სეზონურად პერსონალიც მიდის გაცვლით პროგრამებში და სტუდენტებიც მიდიან. ამიტომ ეს შეიძლება იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია.
შემდეგ რეკომენდაციაში რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავდეს: კურსისა და შედეგების შესაბამისობის სისტემატურ აუდიტს, რათა დადასტურდეს თითოეული სტუდენტის მიერ შედეგის დაუფლების დონე; შეფასების მონაცემების ინტეგრირებას სასწავლო გეგმის გადახედვის პროცესში; დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების პერიოდულ ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განხილვაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხარისხის უზღუნველყოფის სამსახური მუდმივად ატარებს მონიტორინგს. ამაში ჩართულია როგორც კურსდამთავრებული, ისე დამსაქმებელი და ეს დასტურდება არაერთი გამოკითხვით. ამის საფუძველზე განიხილება ეს შეფასებები და მუდმივად ორიენტირებულია დაწესებულება არა მარტო პროგრამის, არამედ ინდივიდუალური კურსების განვითარებაზეც. ამასთან, რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ეფექტიანად შეძლოს პროგრამასთან დაკავშირებული სირთულეების პრევენცია, როგორც ეს მითითებულია სტანდარტების შეფასების 1-4 ნაწილში. ამასთან დაკავშირებითაც დაწესებულებაში არსებობს მექანიზმები პროგრამის ხელმძღვანელები თვითსეფასების ანგარიშს აკეთებენ ყოველწლიურად. გასაუმჯობესებელ მხარეებს თვითონ წარმოადგენენ და შემდეგ ინსტიტუცია ფაკულტეტთან ერთად გემგავს ამ გასაუმჯობესებელი მხარეების ღონისძიებებს. ასე რომ, დაწესებულებას ამ გამოკითხვებისა და ჩართულობის კუთხით მუდმივად აქვს მზაობა, რომ განავითაროს პროგრამა. ამასთან, რეკომენდაციებში არის რამდენიმე შეუსაბამობა. ბაკალავრის პროგრამის რეკომენდაციებში 2.1 სტანდარტში შეუსაბამო რეკომენდაციაა გაცემული და კარგი იქნება თუ მოხდება ამის ამოღება. ერთი ეხება დაშვების წინაპირობებს და მეორე სადიპლომო პრექტების დანერგვა. სამაგისტრო პროგამებში იგივე 2.1 სტანდარტში დაშვების წინაპირობებში არის, რომ რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ეთიკა, რაც ამ სტანდარტის შესაბამისი არ არის. ასევე, რეკომენირებულია, გაძლიერდეს ნაშრომების რუბრიკები, რომელიც ასევე, არ შეესაბამება სტანდარტს. მესამე კი არის დამსაქმებლის ჩართულობის გაზრდა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტი არ მოიცავს.
დაწესებულების წარმომადგენელმა „მონაცემთა მეცნიერების“ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, ნაშრომის შეფასებისას გამოიყენოთ რუბრიკები, რომ შეფასდეს კვლევის ორიგინალობა და ინოვაცია და არ ორიენტირდეს მხოლოდ გამსვლელ ქულებზე. ამას დაწესებულება არ იზიარებს, რადგან ჩატარებული წვლილის ხარისხი პრობლემის გადაწყვეტისადმი ავტორისეული მიდგომები გულისხმობს სწორედ ორიგინალობას და ინოვაციურობას. შესაბამისად ეს რეკომენდაცია უკვე შესრულებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია მეორდება რჩევებშიც, შეიძლება ეს იყოს ტექნიკური ხასიათის, ასევე ქვესტანდარტები შეუსაბამოა რეკომენდაციებისა და არის რეკომენდაციების დუბლირებაც.
„ხელოვნური ინტელექტის“ სამაგისტრო პროგრამასთან გაცემულ ინდივიდუალურ რეკომენდაციებთან დაკავსირებით აღინიშნა, რომ რეკომენდებულია, რომ სიღრმისეული სწავლების, NLP-ისა და CV-ის კურსები მოიცავდეს სწავლის შედეგებს შექმნის/ორიგინალობის დონეზე. აღნიშნული რეკომენდაცია უკვე არის მსგავსი ფორმულირებით, ამიტომ ვერ გაიზიარებს დაწესებულება მას. ასევე, ლიტერატურასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია,

რომ ერთ-ერთ კურსთან 2016 წლის წიგნი ჩანაცვლდეს 2023 წლის წიგნით. რასთან მიმართებითაც აღინიშნა, რომ რეალურად ეს არის ელექტრონული რესურსი, რომელიც 2016 წელს შეიქმნა, თუმცა მითითებული არის, რომ მისი განახლება მიმდინარეობს ყოველწლიურად. ასევე, რეკომენდებულია, ყველა საგანში მოახდინეთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისა/ შემთხვევის ანალიზის ინტეგრირება (მაგ., დიდი მონაცემების ანალიტიკა) პროგრამის სწავლის შედეგი 1, 3 და 4-ის უზრუნველსაყოფად. დაწესებულება აღნიშნულს არ ეთანხმება, რადგან ეს არის უნივერსალური მოთხოვნა და სტანდარტი არ ავალდებულებს უნივესრიტეტს უნივერსალურ დონეზე იყოს წარმოდგენილი აღნიშნული და ამის საჭიროებაც არ არსებობს. ეს 13 საგნიდან 9-ში ისედაც ინტეგრიტებულია და დაწესებულებისთვის ბუნდოვანია რატო გაიცა რეკომენდაცია. ასევე, ეკომენდებულია, დანერგოთ cloud-ზე დაფუძნებული (ღრუბლოვანი) პლატფორმებ
